უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ ბულგარეთის უწმინდეს პატრიარქ დანიელს საპატრიარქო ტახტზე გამორჩევა და აღსაყდრება მიულოცა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 30.06.2024. *მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ახალ წინამძღვარს, უწმინდეს პატრიარქ დანიელს პატრიარქად* ***გამორჩევა*** *და ბულგარელი პატრიარქების ტახტზე აღსაყდრება მიულოცა.*

მის უწმინდესობა დანიელს, სოფიის მიტროპოლიტს, ბულგარეთის პატრიარქს

თქვენო უწმინდესობავ, საყვარელო თანამოძმევ და თანამსახურო ღვთის საყდრის წინაშე!

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქების, სამღვდელოების, მონაზვნებისა და მთელი სისავსის სახელით, ასევე ჩემგან პირადად, გულითადად გილოცავთ ბულგარეთის საპატრიარქო ტახტზე გამორჩევასა და აღსაყდრებას.

სულსა წმიდასა და პატრიარქის საარჩევნო საეკლესიო კრების ღირსეულ მონაწილეებს ჯერ-უჩნდა (საქ. 15:28) თქვენი მოხმობა მაღალ და საპასუხისმგებელი საწინამძღვრო მსახურებაზე, – გარწმუნათ რა თქვენ ბულგარეთის მართლმადიდებლობის ხვედრი.

თქვენი უწმინდესობის სახით, ღირსი იოანე რილელისა და წმინდა მღვდელთმთავარ ეფთვიმე ტირნოველის ეკლესიამ ამჟამად ჰპოვა თავისი ახალი წინამძღვარი – ბულგარეთის მარადსახსენებელი პატრიარქების კირილეს, მაქსიმესა და ნეოფიტეს ღირსეული მემკვიდრე, რომლებმაც ბევრი გააკეთეს მშობლიური სულიერი ტრადიციების შესანარჩუნებლად და თავისი სამწყსოს წმინდა მართლმადიდებლურ სარწმუნოებაში განსამტკიცებლად.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია დღეს გულწრფელად ხარობს თავის საყვარელ და-ეკლესიასთან ერთად, რომლის საჭესთან დადგა ღვთივგანბრძნობილი იერარქი, რომელიც ცნობილია ღვთისმოსაობით, წმინდა კანონიკური წესრიგის მტკიცე დაცვით და საეკლესიო ერთობის გასამყარებლად მსხვერპლგაღებითი შრომისათვის მზადყოფნით.

აღორძინება მადლითა და მეცნიერებითა უფლისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა (2 პეტ. 3:18), უკვე ათას წელზე მეტია, რაც ჩვენი ეკლესიების და მათ მიერ სულიერად გამოკვებული ძმური ხალხების მთავარი მიზანია, რომლებიც არიან სლავური სულიერი ტრადიციების თანამემკვიდრენი, და ეს დაწყებულია მოციქულთა სწორთა კირილესა და მეთოდეს ღვაწლით. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის შვილების მადლიერი ლოცვითი მეხსიერება ინახავს როგორც ბულგარელი მისიონერების გამორჩეულ როლს კიევის რუსეთის ქრისტიანულ განათლებაში, ასევე ბულგარეთის დიდი შვილის, წმინდა მღვდელთმთავარ კვიპრიანეს სულგანბრძნობილ ნიმუშს, რომელსაც ეკავა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის მიტროპოლიტის კათედრა. მადლიერებით მივაგებთ ჩვენ პატივს ასევე წმინდა მღვდელთმთავარ სერაფიმეს, ბოგუჩარის მთავარეპისკოპოსს, სოფიელ საკვირველთმოქმედს, ჩვენი ერთობის განმასახიერებელს. ფაქიზად ვიმარხავთ იმ რუსი ჯარისკაცების ხსოვნასაც, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს ჩვენი ბულგარელი ძმების ხუთსაუკუნოვანი მწარე მონობისგან გათავისუფლებას.

ჩვენ გვჯერა, რომ თქვენი უწმინდესობა ახალ ნათელ ფურცლებს ჩაწერს ჩვენი ეკლესიების ურთიერთობის დიდებულ, მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

ამ მნიშვნელოვან დღეს ლოცვით გისურვებთ მტკიცე ჯანმრთელობას, მოუკლებელ სიხარულს უფალში

და მრავალჟამიერ მის ყოვლადძლიერ შეწევნას ნაყოფიერი მიღწევებით მდიდარ ღვთივკურთხეულ საპატრიარქო მსახურებაში, ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთივდაცულ სამწყსოს კი – კეთილდღეობასა და მშვიდობას.

ქრისტეში ძმური სიყვარულით,

+ კირილე,

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი

წყარო: https://mospat.ru/ge/news/91943/